საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საფინანსო საქმიანობით დაკავებული საწარმოების გამოკვლევის შედეგები

2020

15.10.2021

www.geostat.ge

15.10.2021

საფინანსო საქმიანობით დაკავებული საწარმოების გამოკვლევის შედეგები

(2020 წელი)

2020 წელს საქართველოში საფინანსო მომსახურების საქმიანობით[1] დაკავებული საწარმოების დეკლარირებულმა შემოსავლებმა 5860,9 მლნ. ლარი შეადგინა. აქედან უდიდესი ნაწილი (76,6 პროცენტი) მიეკუთვნება საპროცენტო და მასთან გათანაბრებულ შემოსავლებს, 8,8 პროცენტი მოდის საკომისიოებზე, ხოლო დარჩენილი 14,6 პროცენტი სხვა სახის შემოსავლებზე ნაწილდება.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია საფინანსო მომსახურების საქმიანობით დაკავებული საწარმოების შემოსავლების სტრუქტურა 2020 წელს:

დიაგრამა №1

საფინანსო მომსახურების საქმიანობით დაკავებული საწარმოების შემოსავლების სტრუქტურა 2020 წელს



[1] საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი (სეკ 006-2016: განყოფილება 64 - საფინანსო მომსახურების საქმიანობები, სადაზღვევო და საპენსიო ფონდების საქმიანობის გარდა; განყოფილება 66 - საფინანსო მომსახურების და დაზღვევის დამხმარე საქმიანობები).

2020 წლის დასასრულისთვის საფინანსო მომსახურების საქმიანობით დაკავებული საწარმოების სალაროში განთავსებული იყო 2178,0 მლნ. ლარი ნაღდი ფულის სახით.

2020 წლის ბოლოსთვის ფიქსირებული და არაწარმოებული აქტივების ნარჩენმა (საბალანსო) ღირებულებამ 1779,2 მლნ. ლარი შეადგინა.

2020 წელს საფინანსო მომსახურების საქმიანობით დაკავებულ საწარმოებში დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა შეადგენდა 36,0 ათას კაცს, რომელთაგან 61,1 პროცენტი ქალი იყო.

2020 წელს სადაზღვევო კომპანიების მიერ (პირდაპირი დაზღვევის საქმიანობის მიხედვით) გამომუშავებულმა პრემიამ (ბრუტო) 620,2 მლნ. ლარი შეადგინა[2], საიდანაც 40,0 პროცენტი სამედიცინო (ჯანმრთელობის) დაზღვევაზე მოდის, 16,0 პროცენტი - ქონების დაზღვევაზე, 7,9 პროცენტი - სიცოცხლის დაზღვევაზე, 6,1 პროცენტი - სახმელეთო ტრანსპორტის გამოყენებასთან დაკავშირებულ სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევაზე, 1,8 პროცენტი - უბედური შემთხვევის დაზღვევაზე, ხოლო დანარჩენი (28,2 პროცენტი) სხვა სახის დაზღვევაზე ნაწილდება.

2020 წელს სადაზღვევო კომპანიების მიერ დამდგარი სადაზღვევო ზარალი (ბრუტო) 378,7 მლნ. ლარით განისაზღვრა, რომლის 51,9 პროცენტი სამედიცინო (ჯანმრთელობის) დაზღვევაზე მოდის, 14,1 პროცენტი - ქონების დაზღვევაზე, 5,7 პროცენტი - სიცოცხლის დაზღვევაზე, 2,9 პროცენტი - სახმელეთო ტრანსპორტის გამოყენებასთან დაკავშირებულ სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევაზე, 0,2 პროცენტი - უბედური შემთხვევის დაზღვევაზე, ხოლო დანარჩენი (25,2 პროცენტი) სხვა სახის დაზღვევაზე ნაწილდება.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სადაზღვევო კომპანიების (პირდაპირი დაზღვევის საქმიანობის მიხედვით) მიერ 2020 წელს გამომუშავებული პრემია (ბრუტო) და დამდგარი სადაზღვევო ზარალი (ბრუტო) დაზღვევის სახეობების მიხედვით:

[2] წყარო: სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური
("პირდაპირი დაზღვევის" საქმიანობა, სახეობების მიხედვით).

დიაგრამა №2

გამომუშავებული სადაზღვევო პრემია და დამდგარი ზარალი დაზღვევის სახეობების მიხედვით 2020 წელს (მლნ. ლარი)



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკონტაქტო პირები:

თინათინ ქსოვრელი, ტელ: 2 36 72 10 (217), E-mail: tksovreli@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge